№ 78 სახალხო გაზეთი № 78

სამშაბათი, 10 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆—

—◆ **დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხშვა ადგილეზიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ცხრა საათის შემდეგ მეტი ეღირება.

*** * * *ხელის-მომწერთა საყურადღებოდ* * * ***

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ღამე 7 აგვისტოს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნიკოლოზ დავითის ძე ზუბალაშვილი

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთ შვილები **მიხეილ ნიკოლოზის ძე ზუბალაშვილი და მარიამ ნიკოლოზის ასული კნ. აბაშიძისა.** პანაშვიდი სამშაბათს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება მიცვალებულის გვამისა ოთხშაბათს, 11 აგვისტოს, დილის 10 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში; დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

(2—1066—1)

მეუღლე **მარიამ დიმიტრის ასული**, შვილები **დიმიტრი და თამარ** დები **ესმა და თეკლე** ძმები: **დიმიტრი, მოსე, სილიბისტრო** და ძმის შვილი **ივანე მეჯავიები** განუსაზღვრელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს რომ რვა ამა აგვისტოს დილის ოთხ საათზედ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ტფილისში გარდაიცვალა

გრიგოლ ივანეს ძე მეჯავია

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ თავის საკუთარ სახლში ნოვო არსენალის ქუჩა № 12. ცხედარს გამოასვენებენ კვირას 15 აგვისტოს დილის ცხრა საათზედ წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში და წირვის შემდეგ მოხდება დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ.

(3—372—1)

გრიგოლ გაბრიელის ძე, გასილ, ევა და კატო გრიგოლის ძე და ასულნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი— მეუღლის და მეორენი დედის

ქარო ვასილის ასულის ედილაშვილისას.

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება სოფ. ზრეთ'ში სამშაბათს, 10 აგვისტოს.

(1—6.—2)

გორის ქალთა ანასტასიის

გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ გიმნაზიას მოწაფეთა ხელმეორე (переэкзаменовки) და მისაღები გამოცდები დაიწყება **24 აგვისტოდან**

(5—6.—1)

გორის ქვს კლასიანი საუაუო პროგიმნაზია

ამით აცხადებს, რომ დამატებითი **გამოსაცდელი** ეგზამენები გორის პროგიმნაზიაში დაიწყება — **23 აგვისტოს** — ხოლო **მისაღები 25** აგვისტოს.

(5—6.—1)

ქუთაისის სამეურნეო სკოლის მმართველი აცხადებს, რომ

ოცდა შვიდ აგვისტოდან იწყება მისაღები ეგზამენები

მსურველნი ვალდებულნი არიან თხოვნასთან 15 აგვისტომდე წარმოადგინონ მეტრიკული და სწავლა-ყოფაქცევის მოწმობები

(3—6.—2)

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

„ალიონი“

ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველ ყოფილია.

(0—6.—2) ამხანაგობა „ალიონი“-ს გამგე **ვ. გადილია.**

ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები მოსამზადებელ 1, მე-5, მე-6, და მე-7 კლასებში და ხელმეორე გამოცდები გიმნაზიის მოწაფეთა დაიწყება 12 აგვისტოდან და მოხდება გიმნაზიის შენობაში გამოკრულ გამოცდების განაწილების თანახმად. დანარჩენ კლასების მოწაფეთა მიღება არ იქნება ადგილის უქონლობისა გამო.

თხოვნები საჭირო დოკუმენტებით მიიღება 15 აგვისტომდე.

(3—6.—3)

ქართული საზაფხულო თეატრი

სამშაბათს, 10 აგვისტოს,

მე-23 დღე ფრანგულ მოჭიდავეთა

ჩემპიონატისა.

დღეს იჭიდავებენ 5 საინტერესო ფალავნები:

1. გადამწყვეტი ჭიდაობა პეტერსონსა და მიხელ მაერისა. 2. წითელი ნიღაბი და ვან-როტენისა. 3. შავი ნიღაბი და აპოლონი. 4. იანოშ ნაჯი და ლიტვინოვი. 5. რაზინი და რეიბერი.

ჭიდაობა სულ მცირე ხანში გათავდება და ჯილდოს დარიგება მოხდება.

ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფი უჩვენებს საინტერესო, სამეცნიეროდა გასართობ სურათებს.

მეელი სენაკის სათ.-აზნაურო ქართული

სკოლის

საბჭო ამით აცხადებს, რომ ყმაწვილების მიღება ხსენებულ სასწავლებელში დაიწყება ამა წლის 25 აგვისტოდან.

თხოვნები სკოლის გამგის სახელობაზე და მოწმობები ყმაწვილების წლოვანების შესახებ მიიღება 25 აგვისტომდე და შემდეგაც.

მომავალ სამოსწავლო წლიდან სწავლის ფასი პირველ ორ განყოფილებაში შესამჩნევად დაკლებულ იქნება.

სკოლაში კურს დამთავრებულნი პირდაპირ გადადიან **ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის 1-ლ კლასში.**

(4—6.—4)

გამოცემა მიხ. კალანდაძისა ქ. ბათუმში

მიიღება ხელის მოწერა

5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე

დავით კლდიაშვილის სრულ თხზულებაზე

(ავტორის სურათით).

თხზულება დაიბეჭდება **კარგ ქაღალდზე** ორ ტომად თითო ტომი 320 გვერდამდე; დართული ექნება ბ.ბ. **ივ. გომართელის და კიტა აბაშიძის** კრიტიკული წერილი. ხელის მომწერთათვის ორივე ტომი ეღირება **ექვსი აბაზი**

5 ოქტომბრიდან ხელის მოწერა შესწყდება როგორც ბათუმში, ისე ყველგან. წიგნის ბეჭდვას შევუდგებით 15 ოქტომბრიდან და დაურიგდებათ ხელის მომწერთ მომავალი წლის იანვრის დამლევს.

—◀ **ცალკე გასაყიდათ წიგნი არ დაიბეჭდება** ▶—

აგენტებს ვსთხოვ ფული გზავნიან შემდეგი ადრესით: Батумъ, Директору Бат. О-ва Взаимнаго Кредита, Симону Гургеновичу Мдивани.

უბრალო წერილები უნდა იგზავნებოდეს ამ ადრესით: Батумъ, Бр. Мгеладзе для М. Каландадзе.

(15—5)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და პარშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით.

(200—6.—248

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ.. ყურ. ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

(წლ.—6.—409

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მისამართი ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა.

(უ)

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად **კუჭისა და ნაწლავებისა.** მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388.

(100—წალ.—3)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ხარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პაგლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

ცნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ხუდაბაშევი— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

აზვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროთერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის ზრატით.

(100—6.—84)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაიღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.-2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ.. საკუთარი სახლი

(50—6.—45)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია).

(0—182

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის კახეთის ქ ტელეფონი N 816.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79.

(0—5.—121)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა.

(უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნის ქ., № 9.

(უ)

ექიმი მ. ს. არჯევანიძე

ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე სახებიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა.

(25—გვ.—22)

შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—4 5)

დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ქუთაისში

ბატონ ყმობა საქართველოში

ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. ფასი 50 კაპ.

საქართველოს ისტორია

ს. ქვარიანისა.

ფასი 25 კაპ. (15—ფ.—3)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სასულიერო წრეებში კვლავ დაიწყეს ლაპარაკი საეკლესიო კრების შესახებ. პრინციპიალურად ამ კრების მოწვევა დიდი ხანია გადაწყვეტილია, მაგრამ უწმ. სინოდს დღემდის ვერ გაუბედნია მისი მოწვევა. დღეს ამ საეკლესიო კრებაზე კვლავ დაიწყეს ლაპარაკი, ხოლო არა იმ წრეში, რომელშიაც წინად ლაპარაკობდნენ. თუ უწინ გერმოგენები, ვოსტორგოვები და სკვარცოვები წინააღმდეგნი იყვნენ საეკკლესიო კრებისა, დღეს უპირველეს ყოვლისა ისინი ღაღადებენ ამ კრების საჭიროებაზე ამის შესახებ გაზეთი „რეჩი“ სწერს:

> ერთმა გავლენიანმა ჯგუფმა, გადასწყვიტა, რომ ამ კრებისათვის სწორედ შესაფერისი დრო დადგა, რომ ამისთანა მომენტს შემდეგში ძნელად თუ ჩაიგდებენ. და აი, საკითხი, რომელიც აქამდინ დამარხული იყო, მსვლელობა მიიღო. სხვა და სხვა სამღვდელო პირებმა, ალბად იმიტომ თუ, რომ სათანადო ინსტრუქციები მიიღეს, მჭერმეტყველურად დაიწყეს მტკიცება საეკკლესიო კრების მოწვევის საჭიროებისა... ყველა კუნჭულებსა და მიხვეულ-მოხვეულებში გერმოგენები და სკვორცოვები აგიტაციას სწევენ საეკლესიო კრების მოსაწვევად.

რითი უნდა აიხსნას ასეთი ცვლილება! მხოლოდ იმით, რომ ზემოდასახელებულ ჯგუფს დღევანდელი მომენტი შესაფერ მომენტად მიაჩნია. იგი დარწმუნებულია, რომ რეაქციით დაშინებული სამღვდელოება ჯეროვან ოპოზიციონერობას ვერ გაუწევს მას. ასეთივე მოსაზრება გამოუთქვამს „რეჩი“-ს თანამშრომლისთვის ერთს საქმესთან ახლო მყოფ პირს. მას უთქვამს:

> ყველაფერი ადვილად აიხსნება ხელმძღვანელნი დღევანდელ მოძრაობისა დარწმუნებულნი არიან, რომ მათ სრულიად ჩაუკლეს სამღვდელოებას პროტესტანტული მისწრაფებანი, რომლებისაც ასე ძალიან ეშინოდათ.

ემზადებიან საეკლესიო კრებისთვის ვოსტორგოვები და სკვორცოვები, ხოლო რასა ფიქრობს პროგრესიული ნაწილი სამღვდელოებისა, ჯერ არავინ იცის. როგორც ჩვენს მკითხველებსაც ეცოდინებათ, უმაღლესის ბრძანებით საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა განსახილველად საეკლესიო კრებას გადაეცა. მაგრამ განიხილავს კი ამ საკითხს ის საეკლესიო კრება, რომლის მოწვევასაც ვოსტორგოვები ცდილობენ? ან თვით ჩვენი სამღვდელოება სათანადო ყურადღებით მოეკიდება ამ საკითხს და მომზადებული შეხვდება საეკლესიო კრებაში ენახოთ!..

* *

სამს აგვისტოს შესრულდა 30 წლისთავი ეპისკოპოს კირიონის ღვთის-მსახურებისა. ამის გამო გაზეთი „უტრო როს.“ სწერს:

> ეპისკოპოსი კირიონი გამოჩენილი მცოდნეა ქართულ საეკლესიო ისტორიისა და [illegible] ავტოკეფალიის [illegible] კირიონი ერთი წინამძღოლთაგანი იყო ავტოკეფალიისა, რომლის გამოც 1908 წელს იგი გადაასახლეს [illegible]. ამჟამად [illegible] ერთ-ერთ მონასტერში დასახლებული.

გასაკვირია, რომ არც ერთმა მღვდელმა კირიონის [illegible] არ ღირსა და ქართველ სასულიერო ჟურნალთაც [illegible].

დეპეშები

(პეტერბ. სატელეგრ. სააგენტოსაგან)

8—9 აგვისტო.

საზღვარ-გარედ

ცეტინიე. ჩერნოგორიის დღესასწაულზე დასასწრებად მოვიდნენ მეფე ფერდინანდი იტალიის მეფე-დედოფალი და სხვ. ხმა დადის,

რომ 15 აგვისტოს კერძო ამნისტია გამოცხადდება ყუმბარების გადაგდების გამო დასჯილთათვის. მოელიან აგრეთვე კაბინეტის გამოცვლას. პრემიერად ასახელებენ კონსტიტუციის ავტორს მიტკოვიჩს, რომელიც წინად იყო პრემიერად. სკუპშჩინის პრეზიდენტმა განუცხადა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს, რომ კაბინეტის შეცვლა შეიძლება არ მოხდესო თუ მეფე შეგვეკითხება, ვეტყვით, რომ ეხლანდელი კაბინეტი შესძლებს ახალი კურსი შეასრულოსო.

ურმია. ქურთებმა სოფელ ანგერში დასწვეს პური, გასცარცვეს ქალაქის წისქვილი, მოჰკლეს მეწისქვილე. ტბისაკენ მიმავალ ერთად-ერთ საიმედო გზით დაცვა გუბერნატორმა ყაჩაღ აბდულ ბეკს დააკისრა. ხალხი შეშინებულია. გუბერნატორმა სთხოვა თავრიზიდან ჯარების მოშველება მირზა კირვანის მოკვლით მოწვეული ქურთების თარეში ფართო ხასიათსა ღებულობს. პური გადასწვეს ორ სოფელში, მოჰკლეს ერთი სპარსელი. სოფელ კორსანში გუშინ ღამიდან სროლაა ქურთებსა და გლეხებს შორის.

სტამბოლი. „ტანინი" იუწყება, აზიმბეის მოლაპარაკება პოპრიგოვთან დამთავრდა. ოსმალეთი თანახმაა ლტოლვილნი სამშობლოში დაბრუნდნენ, ამნისტიას მიანიჭებს, თუ ლტოლვილნი იარაღს აიყრიან და მთავრობას გადასცემენ. ბოლგარიის მთავრობის **განზრახვა** ჰქონდა ეს პირობები გამოეცხადებინა ლტოლვილთათვის, მაგრამ ოსმალეთის მთავრობა წინააღუდგა, შინაურ საქმეებში ჩარევა აღიარა ბოლგარიამ უნდა გადასცეს ოსმალეთის მთავრობას იმათი სია, ვინც სამშობლოში დაბრუნებას აპირობს. ბოლგარიის მთავრობამ უნდა პირობა მოგვცეს, რომ სიაში არ იქნებიან შეტანილნი ისინი, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ მაკედონიის რაზმებში და სისხლის სამართალში არიან მიცემულნი. „ტანინი" აცხადებს ოსმალეთის მთავრობა ნებას არ მისცემს პატრიაქს საერო კრება მოიწვიოსო.

„ტანინი" ეხება მარიენბადში მინისტრების შეხვედრას აღნიშნავს, რომ დიდი წინააღმდეგობა ავსტრო-ჰუნგრეთის დღევანდელს მეგობრულს კილოსა და მის მოქმედებას შუა ავსტრო-ჰუნგრეთი დღეს ოსმალეთის ტერიტორიის ხელუხლებლობას ჰქადაგობს, ხოლო როდესაც ოსმალეთი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო სწორედ მაშინ შეიერთა ბოსნია ჰერცოგოვინა. „ტანინი" ამბობ, რომ კრიტის საკითხში არც ავსტრიამ, არც გერმანიამ მეგობრობის საბუთი არ მოგვცაო. ეხლა ორივენი თხოულობენ მადლობა გადუხადოთ, ჭეშმარიტი მეგობრობა შეუძლებელია თვალთმაქცობაზე დამყარდეს. „ტანინი" კმაყოფილია მინისტრების შეხვედრით, მაგრამ აცხადებს, რომ შეთანხმების დრო ჯერ არ დამდგარა, ურჩევს მოიცადონ, როდესაც ოსმალეთთან მეგობრობას მეტი ფასი ექნება.

გერმანული „ოსმანიშერ-ლოიდი" უკმაყოფილოა „ტანინის" წერილით, ამბობს, რომ არა დიპლომატიური საქციელია, როდესაც გაზეთი უკვე გათავებულ ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთების საკითხს უბრუნდებაო. გაზეთი ამართლებს გერმანიისა და ავსტრიის პოლიტიკას კრიტის საკითხში.

ურმია. ქურთების მიერ გაცარცული გზები უეცრად თავს დაეცნენ ენჯუმენს ადღიუსა და ქალაქის გამგეობას, დახიეს ენჯუმენის ბაირაღი, სცემეს მოსამსახურეებს. შემდეგ გლეხები მივიდნენ გუბერნატორთან, მოსთხოვეს ქურთებისაგან დაცვა. გაბოროტებულ ბრბოს დასამშვიდებლად ერთი სპარსელი, რომელმაც რაღაც მკვლელობა ჩაიდინა, მიაბეს ზარბაზნის ტუჩს და დახვრიტეს. ბაზარი და დაწესებულებანი დაკეტილი იყო, სანამდის ეს ინციდენტი არ მოხდა.

რომი. ტრანში კიდევ ხოლერით ავად გახდა 19 კაცი. ბალისა და ფოჯიას ოლქებში მდგომარეობა ისეთივეა.

პილზენი. ერთ ექიმის შეკითხვაზე ერლიხმა უპასუხა, იმედი მაქვს 6—8 კვირის საყიველთაო საექიმო ხმარებაში იყოს „606". საშუალებაო.

ნიუ იორკი. ახალ ინგლისის შტაბის ბამბეულობის ქარხანამ სადაც 5000 მუშა მუშაობს, გამოაცხადეს, რომ მუშაობა შემცირებული იქნებაო. სამხრეთ შტატებში ენკენისთვეში მოსალოდნელია ერთი კვირით შეჩერდეს 3.000.000 მაქო.

პორტსმუტი. ისპანიის მეფე დედოფლის თანადასწრებით ზღვაში ჩაუშვეს ახალი ჯავშნოსანი გემი „ორიონი", დრედნაუტის ტიპისა, 22.500 ტანის წყალ წყვისა. ამ გემს სხვათა შორის აქვს 9 დიდი ზარბაზანი $13^1/_2$ გოჯიანი.

რომი. ბრლეტსა და ტარონტში ხოლერით ავად გახდა 11, გარდაიცვალა 2.

ბუენოს აირესი. დაიწვა სავაჭრო გემების საკეთებელი „ლონდონი". ზარალი რამდენიმე მილიონ პეზეტს უდრის. (პეზეტი დაახლოვებით მანეთის მესამედია).

სოფია ოსმალეთის მთავრობამ აცნობა ბოლგარიისას, რომ დაინიშნება გამომძიებელი კომისია იმ პირთა დასასჯელად, ვინც წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას იარაღის ჩამორთმევის დროს. ლტოლვილ ბოლგარებს შეუძლიანთ თავისუფლად დაბრუნდნენ სამშობლოში, შიში ნუ ექნებათ, რომ პასუხის-გებაში იქნებიან მიცემულნი. ოსმალეთის ელჩი ამას გამოუცხადებს ლტოლვილთა წარმომადგენლებს. ლტოლვილნი დაბრუნდებიან იმ ადგილებიდან, რომელსაც აღნიშნავს ორივე მთავრობა. დაბრუნდებიან ბოლგარიის მთავრობის მიერ შედგენილ სიაში აღნიშნული პირები.

ჰაერში ფრენა.

პეტერბურგი. 12 საათზე პარკიდან აფრინდა სამხედრო ბურთი, რომლის კალთაშიაც ოთხი აფიცერი იჯდა. ბურთი მოსკოვისკენ გაფრინდა.

პეტერბურგი. სრულიად რუსეთის აეროკლუბის ორი სფერიული აეროსტატი აფრინდა

გატჩინის აეროდრომზე პარუჩიკი გორშკოვი სამჯერ აფრინდა მგზავრებით. საღამოთი ისევ აფრინდა, მაგრამ ვინტი გაუფუჭდა და მალე ისევ ჩამოვიდა.

რუსეთი

ასხაბადი. გაჯინსკის ნავთის სარეწველოში 300 ათასი ფუთი ნავთი ამოვიდა.

ნოვოჩერკასკში. ოლქის სანიტარულ-აღმასრულებულმა კომისიამ გადასწყვიტა არყის დუქნები დაჰკეტოს.

ეკატერინოსლავი. გამოფენისადმი ინტერესი დღით-დღე იზრდება. გუშინ გამოფენა 9400 კაცმა ინახულა.

ტულა. თავის მამულში მოჰკლეს ვენევის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი კამერკურსი დიმიტრი პაპოვი. პაპოვი შვილს მოუკლავს.

რივნოე (სამ. გუბ). დილის ხუთს საათზე ბუქსირ „მორიაკზე" ქვაბი გასკდა და დაიღუპა. ზარალი 250 ათას მანეთს აღემატება. ხალხიც დაღუპულა.

ვასილკოვი. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს 3635 მანეთი გაუფლანგავს. დამნაშავე დაუტუსაღებიათ და საქმე სასამართლოში გადაუციათ.

სიმფეროპოლი. ფალცფენ ოსკანის მამულში გაიხსნა მთავრობის ზოოტეხნიური სადგური.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ბაზრობის აეროდრომზე ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობის 20 ათას მანეთი ნი პრიზი იყო დანიშნული. სამვერსთან გაჭირვებაში თერთმეტი ცხენი იღებდა მონაწილეობას. პრიზი აიღო ვორონცოვ-დაშკოვის „ზავოდის" ცხენმა „იგრენმა", რომელიც იკონიკოვს ეკუთვნის.

შავი ჭირი.

პეტერბურგი. უფროსი საექიმო ინსპექტორი მალინოვსკი ადესაში წავიდა შავ-ჭირთან ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად.

ხოლერა

პეტერბურგი დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 63 კაცი, მოკვდა 12, ავად არის 741.

პეტერბურგი. სააგენტომ შემდეგი ცნობები მიიღო ხოლერის გავრცელების შესახებ. ერთი კვირის განმავლობაში კარსაკირის მაზრაში ავად გახდა 219 კაცი, მოკვდა 139, ქალაქში ავად არავინ გამხდარა. ვეტლუგაში ხოლერის ვიბრიონები აღმოჩნდა. კიშინოვში ავად გახდა 4, მოკვდა 2; აკერმანის მაზრაში ავად გახდა ერთი და მაგილიოვის გუბერნიაში ავად გახდა 114, მოკვდა 52; ნოვგოროდის მაზრაში ავად გახდა 40, მოკვდა 26, პავლოგრადის მაზრაში ავად გახდა 64, მოკვდა 34, პოდოლიისაში—ავად გახდა 121, მოკვდა 51, რამანოვო-ბორისოგლებსკში ავად გახდა 7, მოკვდა 4; დონის როსტოვში ავად გახდა 45, მოკვდა 11; სამარაში ავად გახდა 78, მოკვდა 51, მაზრებში ავად გახდა 2111, მოკვდა 932; სევასტოპოლში ავად გახდა 5, მოკვდა 3; იაროსლავლში ავად გახდა 69, მოკვდა 50, მაზრაში ავად გახდა 57, მოკვდა 27; ტამბოვის გუბ. ავად გახდა 679, მოკვდა 343; სიმბირსკში ავად გახდა 16, მოკვდა 19; გუბერნიაში ავად გახდა 764, მოკვდა 351 კერჩში ავად გახდა 31, მოკვდა 11; სტავროპოლში ავად გახდა 23; მოკვდა 12; კიევში ავად გახდა 80, მოკვდა 14, გუბერნიაში ავად გახდა 358, მოკვდა 26, კურსკში ავად გახდა 249, მოკვდა 111; ყარსში ავად გახდა 29, მოკვდა 18, ოდქში ავად გახდა 77, მოკვდა 39; სოხუმში ავად გახდა ერთი, მოკვდა ერთი; სიმფეროპოლში 26 ივლისიდან პირველ აგვისტომდე ავად გახდა 73, მოკვდა 35, გუბერნიაში ავად გახდა 711, მოკვდა 348. უფაში ავად გახდა 140, მოკვდა 66, სულ გუბერნიაში ავად გახდა 1158, მოკვდა 631. 8 აგვისტოს ცნობით, პეტერბურგში დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 60, მოკვდა 23.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **პანაშვიდი.** კვირას, 8 აგვისტოს, მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის სევერიან ჯუღელის გარდაცვალების წლის თავზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის ნათესავნი, პატივის მცემელნი და სხვანი.

◆ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 7 აგვისტოს ტფილისში ხოლერით ავად გახდა 4 კაცი. მათი გვარები: 1) ბაგრატ სპირიდონის ძე ჭუმბურიძე, 2) პავლე ნიკოლოზის ძე საფრონოვი, 3) ამალია კობახიძე და 4) ოლღა ზაქარიას ასული კორტანაშვილი.

8 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 2 კაცი: 1) ქეთევან ისაკის ასული ყაფიანისა და 2) სიდონია ბესარიონის ასული ჯანიაშვილისა. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფეკცია გაუკეთეს.

◆ **ქუმსი მაღრაძის მოკვლის გამო.** თავის დროზე მოხსენებული გვქონდა; რომ გორის მაზრის სოფელ ხცისის მახლობლად ვიღაც უცნობთ მოჰკლეს თავ. ციციშვილის ობლების და მამულის ყოფილი ოპეკუნი ქუმსი მაღრაძე. გამოძიებამ ამ ჟამად აღმოაჩინა, რომ აზნაური ქუმსი მაღრაძე მოუკლავს ხცისის მცხოვრებს სანდრო ჯიკურაშვილს, რომელიც 1908 წელს იანვარში ჯარის კაცად წაუყვანიათ და ამავ წლის ივნისში გამოქცეულა ციმბირის მე-24 ქვევითი [illegible] მკვლელის შესაპყრობლად [illegible] მიღებული.

◆ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი ცნობით, 7 აგვისტოს დილის 9 საათიდან 8 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 4 კაცი, ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—33 ავადმყოფი, მოემატა 3, მორჩა და გამოეწერა—4 გარდაიცვალა—1, დარჩა—31.

8 აგვისტოს დილის 9 საათიდან 9 აგვისტოს დილის 9 საათამდე ხოლერით ავად გახდა—1, ხოლერის ნიშნებით—1, ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—31 ავადმყოფი, მოემატა—2, მორჩა და გამოეწერა 2 მოკვდა 3, დარჩა—28.

◆ **მერძევე ქიზიყში.** ქიზიყელების თხოვნით მიწად-მოქმედებისა და მიწის მომწყობ მთავარ სამმართველოს რწმუნებულმა სიღნაღის მაზრაში გაგზავნა მერძევეობის ოსტატი (ინსტრუქტორი) ელ. ვ. კარბელაშვილი, რომელიც დაივლის ქიზიყს იმ სოფლებს, სადაც საქონლის მოშენებას მისდევენ. კარბელაშვილს თან მიაქვს სეპარატორი და გაუმჯობესებული სადღვებელი, შეჰკრებს გლეხებს და საქონლის მოაშენებელთ მათ თანადასწრებით მანქანებს ამუშავებს, აუხსნის მათ უპირატესობას, აჩვენებს ნაღების მოხდას, კარაქისა და ყველის გაკეთებას, იმედია ქიზიყელები თანაგრძნობით მოეპყრობიან მერძევეობის ოსტატის რჩევა-დარიგებას და ეცდებიან მერძევეობის ტეხნიკის გაუმჯობესებას.

◆ **მამულის გაყიდვა.** როგორც გავიგეთ სიღნაღის მაზრის ს. ჩალაუბნის მამულის პატრონები თა ვაჩნაძენი რუსებზე ჰყიდიან 100 დეს. მიწას.

ახალი პროგრამები ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ-გამგეობის მიერ გამოცემული ახალი პროგრამები, მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში, საიდანაც დაინტერესებულნი პირნი და მასწავლებლებიც პროგრამებს უსასყიდლოთ მიიღებენ.

◆ **იურიევის.** სტუდენტა სკურსია გაემგზავრება ქუთაისიდან 19—20 აგვისტოს. ფული, ვთხ გაგზავნონ: ქუთაისში, მესხეთ ქუჩა, სტუდ. კონსტანტინე იუსტინეს ძეს ძოძუაშვილს. ძველი

მსახური ეკლესიისა

1

შეაღო ეკლესიის კარი იაკობ მღვდელმა, გადიწერა პირჯვარი და წარმოსთქვა სასოებით:

— შევიდე სახლსა შენსა, თაყვანის ვცე ტაძარსა წმიდასა შენსა!

ხმა მისცა მოძღვარს ცარიელმა საყდარმა, გაიმეორა მისი სიტყვები, უკანვე დააბრუნა მისი ხმა, გარნა აწ მრავალკეცი, დაწმედილი, კრიალა: ძველებური საყდარი იყო, თაღებში დატანებული ჰქონდა წვრილი რამ ქოცოები ხმოვანობის გასაძლიერებლად და კამარა რომ ისხლეტამდა ბგერას სახმოები ამრავლებდნენ მას, ასპეტაკებდნენ, განამტკიცებდნენ და ხმა გრგვინვით ბრუნდებოდა ძირს; უბრალო გალობაც კი მსმენელთ ყურის დამატკბობელ გუგუნად მოისმოდა საყდარში.

მღვდელმა მოიყარა მუხლი ამბიონის წინ და წარმოსთქვა მცირე რამ ლოცვა. ადგა, მოავლო თვალი ეკლესიას, მივიდა თახჩასთან, გამოიღო აბრეშუმის ქსოვილი და მოწიწებით დაუწყო წმენდა ხატებს, შანდლებს, კანდლებს, ჩუქურთმებს, წიგნებს; თუ სადმე სანთლის ღვენთი იპოვნა, ამოფხიკა, თუ სადმე დაჭმუჭნული ფარდა იყო ან წიგნის ფურცელი, გაასწორა. იაკობ მღვდელი გართული იყო ამ საქმეში და თან ღიღინებდა სძლისპირებს, ხოლო ეკლესია მის ღიღინს საამო ხმებად უბრუნებდა მისსავე დამტკბარ სმენას.

მღვდელს თანდათან ართობდნენ საეკლესიო საგალობლები, იზიდავდნენ, უფრო და უფრო იტაცებდნენ სამღთო ხმები და მის გულში ძლიერდებოდა გამოუთქმელი რამ სიამე, ნათელი მყუდრო და მხიარული ეფინებოდა მის სულს. განელდა, ბუნდოვან იქმნა მის გონებაში ცხოვრების სინამდვილე, მთლადაც მიეფარა იგი სინამდვილე ცხოვრებისა მის გონების თვალიდან; გაილივნენ, უჩინარ იქმნენ, განქრნენ მის გულში საყოველდღეო წვრიმალი გრძნობები და აღტაცებამ შეიპყრო მისი არსება. ის ეხლა მთლად მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას, მას დაეტოვებინა აწ ყოველივე ზრუნვა ამაო, ზე აღტაცებული იყო სამოთხედ და გრძნობდა თავის თავს ანგელოზთა, წმიდათა და ნეტართა შორის; უკვე მოესმოდა მის მოხიბლულ სმენას სიტყვანი უთქმელნი და გალობა მწყობრი სამოთხისებური, სამოთხისავე სუნნელოვან სუნსა გრძნობდა მისი დამტკბარი ყნოსვა. დედამიწაზე ფეხი აღარ ეკარა, ჰაერში იდგა ნეტარი და განიცდიდა სიახლოვეს თვით ღვთაებისა.

ხატებიც გაცხოველ-მყოფებულიყვნენ მის გარემო, გაცოცხლებულიყვნენ; ხორცი შაესხათ ჰაეროვანი, ამოძრავებულიყვნენ, გამოსულიყვნენ უძრავ ჩარჩოდან; თვალს აღარ აშორებდნენ მოძღვარს, თვისკენ იწვევდნენ მას, თავიანთ გვერდზედ უთმობდნენ მას ადგილს. დაუტკბნენ ყველანი, წმ. ნიკოლოოზის სასტიკი მშრალი თვალებიც კი მოლბა ამ წუთს და ხუცესმა წინანდებური შიში აღარ იგრძნო მისდამი, როდესაც სწმენდდა მის სახეს. მეტადრე კეთილად უყურებდა მღვდელს მთავარანგელოსი მიხეილი. მაინც ხომ ყოველთვის კეთილი იყო ის, თუმცა ცეცხლის მახვილი ეპყრა ხელთ აბგარ-აბჯარში ჩამჯდარს, მაგრამ დღეს უფრო ლმობიერად იყურებოდნენ მისი ლურჯი თვალები.

— ახ! ამისთანა სახიერ და უძლეველ მცველის მფარველობით უშიშრად განვლის სული უბადრუკი ჰაერთა სივრცეს, სავსეს ეშმაკთა უსახურთა მაცდურობით და მივა უვნებლად ადგილსა მას განსასვენებელსა, გაიფიქრა მოძღვარმა.

და უძლეველი რამ სიყვარული იგრძნო მისდამი და მიმზიდველობა, ის სიყვარული იმედოვანი, რომელსაცა გრძნობს სუსტი არსება ძლიერ და მოყვარულ მფარველის კალთაში. მოუთმენლად მოჰსურდა მღვდელს მასთან მიახლება და სასოებით ემთხვია ხატს მუხლზე

— მამი, აქა ხარ? შემოსძახა უეცრად აბრამ დიაკვანმა; მე კი რამდენს დაგეძებდი.

დიაკვნის მოულოდნელმა გამოხმაურებამ მსწრაფლ შემოსძარცვა მოძღვარს ნათელი ნეტარებისა და ლოდივით დაუშვა დედამიწაზე. ისე იგრძნო თავი იაკობმა, თითქო სანატრელი სიზმარიდან გამოერკვიაო უსიამოვნო ცხოვრებისათვის.

—-სადღა ვიქნებოდი, კაცო, კვირის დღეს ეკლესიის გარეშე?! რა იყო?

— კიკოლაანთ ივანე მოვიდა, ნათლობა მაქვს და ჩქარა წამოდიო.

— კარგი, შვილო! ვინა ჰყავთ ნათლიად?

— ცალხელაანთ თომამ უნდა მოუნათლოს.

— წადი, შეამზადე ყოველივე და მეც ეხლავე მოვალ.

2.

ეკლესია სოფლის თავში იდგა და ზევიდან დასცქეროდა მას. ზარი რომ დაირეკებოდა იმისი გუგუნი მთელ სოფელს ეფინებოდა მორწმუნეთა საიმედოდ და სასიამოვნოდ. სოფელს გვერდით ჩამოუდიოდა მდინარე, რომლის ნაპირებზე ვენახები იყო გაშენებული. ზევით ატეხილი ჰალა ასდევდა მდინარეს. ეს მდინარე და ჰალა იყო სიმდიდრე სოფლისა და სამკაული. პურიც კარგი მოდიოდა, თავთუხი. სოფლის ბოლოს ხევს ბექები გადაშლილი ჰქონდა, დაბალი და აქედან დაწყობილი უკვე შესაძლო იყო წყალის გაყვანა მინდვრების მოსარწყავად. ამ სარწყავ მინდვრებზე სიმინდი მოჰყავდათ.

ხევის პირას იდგა იაკობ მღვდლის მამა-პაპეული სახლი. მღვდლიაანთ ვენახი მდინარის ნაპირამდის ჩასდევდა ხევს. იაკობი ამ ბაღში ყველა ხეხილს იცნობდა, ყველა ვაზის ამბავს მოგითხრობდათ, რადგან მას აქ გაეტარებინა თავისი სიყმაწვილე და აგერ აქვე ბერდებოდა. მის მამა-პაპასაც აქ დაელივნათ თავიანთი სიცოცხლე და იქვე იყვნენ ეკლესიის გალავანში დასაფლავებულნი. აღრიდანვე მღვდლიაანთ ჩამომავლობა იყო ეს გვარი და მღვდელი არც შეწყვეტილა ამ ოჯახში. ერთი ძმა რომ ხუცესად გამოდიოდა, მეორეები გლეხადვე რჩებოდნენ. დებიც უმეტეს ნაწილად გლეხებზე თხოვდებოდნენ, ისე რომ იმავე სოფელში თუ გარემო სოფლებში დიდ-ძალი ნათესაობა ჰყავნდა იაკობ მღვდელს. უწინ დიდი მამული სჭეროდათ იმათ, მაგრამ ეხლა დაწვრიმანებულიყო ის, განაყოფებს გაეტანათ; მღვდლის ოჯახობის ბედობაზე ერთი პატარა ვენახი-ღა დარჩენილიყო და შვიდიოდ დღიური სახნავ-სათესი. სამი დღის მიწაც თითონ შეიძინა იაკობმა. მღვდელი გლეხურ შრომას და ცხოვრებას მისდევდა და მემამულესაგანაც იღებდა მიწას იჯარით.

— ეჰ, ის დრო ემჯობინებოდა მღვდელ-დიაკვნისათვის, როდესაც ყველა ეკლესიას თავისი მამული ჰქონდა საკმაო და ეკლესიის მსახურთ არა სჭირდებოდათ სხვისა მამულის შემუშავება! იტყოდა იაკობი, როდესაც დასჭირდებოდა მიწის ქირაობა.

თითონ იაკობს სასწავლებელში არ გამოევლო. მისმა მამამ მონასტერში მიაბარა პატარა და იაკობმა იქ შეისწავლა წიგნი, სამღვთო მსახურების წეს-რიგი და გალობა. მადლიანი მასწავლებელი შეხვდა: მორწმუნე, მწიგნობარი, მგალობელი. ისე შეიტკბო პატარა, როგორც ნამდვილი შვილი. უძეოდ გადაგებულმა ღვთის-მოსავმა თავს შემოავლო იაკობს თავისი დაუკმაყოფილებელი მამობრივი სიყვარული. მისი მამა-მასწავლებელი არ იყო დიდად განვითარებული, მაგრამ ღრმად მორწმუნე კაცი იყო, ღვთისნიერი, იმან თავის გულუბრყვილო რწმენა მთლიანად გადან ნებით გა ნორჩი შეგირდის გულში გადასცა შეურყევლად თვის ჰაზრ იუ გრძნობა—ლტოლვილებათა სხის ხე: ეხლა იაკობი სწორედ ისე უ ურებდა ცხოვრებას თუ ქვეყანასა იგი როგორც მისი მასწავლებელი. იაკ

— ვმადლობ ღმერთს, რომელმან მომანიჭა შვილი სულიერი, სახე მზგავსება ჩემი! მე ცოდვილმა ვ შევსძელ მთლად უარმეყო ცხოვრე ამა სოფლისა, მაღონებდა და გუ მიწყლავდა ის, რომ ჩემ შემდეგ ქვეყნად უნდა მოსპობილიყო ა მხოლოდ ხორ კიელი სახე ჩემი, არა მეო სახეცა ჩემი სულიერი. ისმინ ღმერთმა ჩემი ვედრება, მიმივლინ მოწაფე გულისამებრ ჩემისა და ა საუნჯე ჩემი სულიერი. დარჩება ჩ შემდეგ ქვეყნად და უფრო განპ ტაკებული! ფიქრობდა ამზრდელ როცა უკანასკნელად ლოცავდა ა ზრდილს.

იაკობი მონასტრიდან პირდაპი თავის მამასთან გადმოვიდა დიაკვ და შეეშველა მოხუცს ოჯახის კ თილად წარმართაში. როცა იგრძნ მისმა მამამ სიკვდილის მოახლოვებ ძოუწოდა შვილს, აკურთხა იგი უთხრა:

— იაკობ, შვილო! უკვე დად ჟამი ჩემის აღსასრულისა. მამ გვერდზედ დამმარხე. ჩემ შემდ განაგრძე მღვდლობა კეთილად. ვ ძლო შენს შვილს გადასცე ეს წმ და სამსახური, რომ არ მოისპ ჩვენს გვარში მსახური წმიდისა ტ პეზისა. კვეთაზე მოგვიხსენებდე წ ნაპართ: გახსოვდეს, რომ ჩვენ ყ ლანი უხილავად თანამსახურნი ვ

ურსანტები შეიტანენ 6 მან. კაპ. ახლები 8 მანეთს. ფულის ტანის ვადა 13 აგვისტომდეა.

◆ **ხოლერა თელავში.** როგორც გვატყობინებენ, ხოლერა თელავშიც გაჩენილა და მცხოვრებთ შიშის ზარსა სცემს. გარდაიცვალა ორი მღვდელი, რომლებიც ხოლერიანი ავადმყოფები აზიარეს. ხალხი სოფლებში იხიზნება.

◆ **ავჭალის ცხენის რკინის გზა.** ამ თვის პირველიდან უსახელო საზოგადოება უნდა შესდგომოდა ავჭალის ქუჩაზე ელექტრონის ტრამვაის გზის გაყვანს, მაგრამ დღემდე იქ არავითარი მუშაობა არ დაწყობილა. ამას გარდა ამ ქუჩაზე დღეს მხოლოდ ოთხი ვაგონიღა დადის, რის გამოც მგზავრს დიდი ხნობით უხდება ლოდინი.

◆ **ჯარიმა.** ტფ. გუბერნატორმა 100 მან. დააჯარიმა ქსენია ბაბცოვისა პოლიციელის შეურაცხყოფისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ.

◆ **გადასახლებულის შეპყრობა.** 7 აგვისტოს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო ალექსანდრე მეტრეველი, რომელიც ადმინისტრაციულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნებულ.

◆ **უპასპორტონი.** საერთო ჩხრეკის დროს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო: 7 აგვისტოს—97, ხოლო 8 აგვისტოს—45 უპასპორტო.

◆ **უეცარი სიკვდილი.** 8 აგვისტოს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა ჰენრიხ რობერტ ერნსტი.

◆ **შავ ჭირთან ბრძოლა.** ტფ. სანიტარო-აღმასრულებელ ბიუროს დადგენილებით, დღეს საღამოს ოდესაში მიემგზავრება ექიმი არაზოვი შავი ჭირის საწინააღმდეგო ზომების შესასწავლად.

◆ **უფასო ლექცია ხოლერაზე.** კვირას, 8 აგვისტოს სახალხო სახლში ექიმმა ი. რ. ფიშერმა უფასო პოპულიარული ლექცია წაიკითხა ხოლერაზე. ხალხი ბლომად დაესწრო. ლექცია რუსულ ენაზე იყო. ამ დღეებში წაკითხულ იქმნება ლექციები ხოლერაზე აგრეთვე ადგილობრივ ენებზე.

◆ 8 აგვისტოს მიხეილის ქუჩაზე იპოვეს მიგდებული ბავშვი მამრობითი სქესისა, დაახლოვებით ერთის კვირისა. ბავშვი ალგას სახებით ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ 7 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე, სირაჯხანაში მორიგმა პოლიციელმა ანდრია კნიაზოვმა თოფით მოკლა ცოფიანი ხარი რომელიც წინა წამს ბავშვს ეცა და რქებით დააშავა. მოკლული ხარი პირუტყვთა საავადმყოფოში გაგზავნეს.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა აცხადებს, რომ 8 აგვისტოდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც 6 მანეთზე ნაკლები ჰქონდა შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 8 აგვისტოსთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივლისისათვის უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დაიჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დაიჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

ცოტა რამ ხოლერის შესახებ

დღითი დღე ხოლერა უფრო თან და თან ძლიერდება, როგორც თვით ქუთაისში, ისე მიდამო სოფლებში. ძნელი წარმოსადგენია ის შიში, რომელიც დასცა ამ სენმა. ათასი ჭორებია გავრცელებული ხალხში, რომლებიც, სამწუხაროდ, მოწმობენ თუ რამდენად ჩამორჩენილი ყოფილა გონებრივ ჩვენი ხალხი. ის ხალხი, რომელსაც, როგორც ჩვენ გვეგონა, ასეთი ნდობა ჰქონდა მედიცინის და ექიმებისადმი, დღეს შეშინებული გაბოროტებული გაიძახის, რომ ექიმები ჰკლავენ ხოლერიანებსო; ასმევენ თეზაფს და კარბოლის სიმჟავეს, რომ რაც შეიძლება მალე მოუსპონ სიცოცხლე ამ გვარ ავადმყოფსო; ბარაკში გაგზავნა ხომ სასიკვდილოდ მიაჩნიათ და სხვა...

საზოგადოების შეგნებული ნაწილიც კი შიშით დაიბნა და იმის მაგიერ რომ ხალხს ხელმძღვანელობა გაუწიონ, დიდის ყურადღებით ისმენს ყოველ ამ გვარ ჭორებს და ამით კიდევ უფრო აბნევს უბრალო ხალხს.

ხოლო მეცნიერება კი იმას გვეუბნება, რომ ყველა გადამდებ სენთა შორის ხოლერისაგან უფრო ადვილია თავის ხსნა, თორემ ადამიანი შეგნელია და იცის თავის და სხვის მოვლა-პატრონობა.

ეს სენი მხოლოდ იმ ქვეყნის სტუმარია, სადაც ხალხი გონებრივ ჩამორჩენილია, სცხოვრობს ბინძურად და ღარიბად. სამწუხაროდ დღეს რუსეთი მეორე ინდოეთად გადაიქცა, ესე იგი ხოლერის მეორე სამშობლოდ. ხოლერის ასე გავრცელება ყოვლად შეუძლებელია განათლებულ ევროპის ქვეყნებში. იყო დრო, რომ ხოლერა ლონდონშიაც მძვინვარებდა, მაგრამ მას შემდეგ რაც იქ ყოველ გვარი სანიტარულ-ჰიგიენური ზომები მიიღეს, ხოლერის სახელიც კი დაავიწყდათ და ნახევარი საუკუნეა რომ ეს სენი ლონდონს აღარ სწვევია.

მას შემდეგ რაც დამტკიცდა, რომ ხოლერის ვიბრიონებით ადამიანის სხეული მხოლოდ წყლით და მოშხამული საჭმლით იწამლება, ნათლად აღმოჩნდა რომ თავის დაფარვა ამ სენიდან ადვილი და შესაძლებელი ყოფილა, თუ კი რომ ადამიანმა შესაფერი ზომები მიიღო. ის გადამდები სენი უფრო ძნელად ასაცდენია, რომელიც ჰაერით გადადის, როგორც მაგ. ქამი, ხურვება (**СЫПНОЙ ТИФЪ**), ყვავილი და სხვ.; ამგვარი სენი უფრო დიდ განსაცდელს წარმოადგენს ადამიანისათვის, ვიდრე ხოლერა. ყველასათვის ადვილი გასაგებია, თუ რამდენად ძნელია თავის დაცვა მოშხამულ ჰაერისაგან და რამდენად უფრო შესაძლოა მოწამლულ წყლისაგან და საჭმლისაგან!

მით უმეტეს, რომ მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ დუღილი სრულებით ანადგურებს ხოლერის ვიბრიონებს წყალში; რაც უნდა მოწამლული იყოს წყალი, ხანგრძლივი დუღილი სავსებით აქრობს მასში ხოლერის შხამს. მეცნიერ მეჩნიკოვის გამოკვლევიდან სჩანს, რომ 60° სითბოც კი საკმარისია რომ მოსპოს ხოლერის ვიბრიონების მომწამლავი ძალა. ამ მეცნიერმა აიღო ერთი ნაჭერი პური და ზედ წაუსვა სითხე, რომელშიაც ხელოვნურად იყო მოშენებული ხოლერის ბაცილები, მერე ეს პური ცეცხლზე მოტრუსა და იმის დასამტკიცებლად, რომ პური სრულებით ამით უვნებელი შეიქმნა, თითონაც შესჭამა და იქ მყოფთაც მოუტეხა. ყველანი, რასაკვირველია, უვნებელნი დარჩნენ.

გაამრავლა რა ბუნებამ სხვა და სხვა გვარი სენი, არც ადამიანი დასტოვა უნუგეშოთ; მას მისცა დიდი თვითდაცვის ძალა. დიდად შესცდება ის, ვინც ჰფიქრობს, რომ საკმარისია ადამიანმა გადაჰყლაპოს ხოლერის ვიბრიონები, რომ მაშინვე ხოლერით შეიქმნეს ავად! სრულებითაც არა!

ზემო-ხსენებულმა მეცნიერმა მეჩნიკოვმა მრავალ სალ ადამიანის განავალში აღმოაჩინა სხვა და სხვა ბაცილებთან ერთად ხოლერის ვიბრიონებიც, თუმცა მათ არავითარი ნიშანი ხოლერით ავადმყოფობისა არა ჰქონიათ. ხოლერობის დროს ძლიერ ადვილი აღმოსაჩენია სალ ადამიანის პირში და და ნაწლევებშიაც ამ სენის ბაცილების აღმოჩენა. იმის მიუხედავად ადამიანი მაინც ხოლერით ავად არა ხდება! ეს იმიტომ რომ ცოცხალ ადამიანის სხეულს აქვს ძალა წინაღუდგეს ხოლერის ბაცილების შხამს და ისე დათრგუნოს ეს ბაცილები, ის დაასუსტოს, რომ იგინი სრულებით ჰკარგავენ თავის ძალას და სხეულში ცოცხალ-მკვდარნი არიან.

რადგან ადამიანი წყლის და საჭმლის საშუალებით იწამლება, მაშასადამე უპირველესად მას კუჭი უნდა მოეწამლოს. მაგრამ ბუნებამ ჩვენი კუჭი ისე მოაწყო, რომ ყველა შხამიანი ბაცილები და მათ შორის ხოლერისაც სრულებით იღუპებიან იქ; კუჭის წვენის სიცხარე სრულებით ანადგურებს მათ. თუ რომ ადამიანს სალი კუჭი აქვს, მაშასადამე კუჭის წვენსაც თავისი ბუნებრივი სიცხოველე აქვს, ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი ხოლერით გახდეს ავად. ამიტომ ყოველი ჩვენთაგანი უნდა სცდილობდეს მიიღონ ისეთი საჭმელი, რომელიც უფრო ადვილი მოსანელებელია, უნდა ვერიდოთ ისეთ საჭმელს რომლის მონელებაში კუჭს უფრო მეტი მუშაობა დასჭირდება, რომ ამით ჩვენ იგი არ დავასუსტოთ, ხოლო დასუსტებულ კუჭს კი უფრო სიცხარე მოკლებული ჩვენი გამოაქვს.

ამ ხოლერობის დროს ძლიერ გახშირებულია მარილის სიმჟავის წვეთების მიღება. ჩვენის აზრით ეს წვეთები მხოლოდ იმას ჰრგებს, ვისი კუჭიც მართლა სუსტად მოქმედობს, რომლის კუჭის წვენს სიმჟავე მართლა აკლია, ყველაზე უკეთესი იქნებოდა, რომ ამ შემთხვევაში თვით ექიმს გადაეწყვიტა ეს საკითხი; თორემ წარა-მარა მიღება ამ წვეთებისა მხოლოდ ზიანს მოუტანს სასურველია, რომ ადამიანმა თავის ჩვეულებრივ დიეტას დაუფიქრებლივ არ უღალატოს, რადგან შეცვლილი საჭმელ-სასმელი, თუ იგი კარგად მოფიქრებული არ არის, კუჭს დაასუსტებს. მეჩნიკოვი არ გვიკრძალავს ზომიერად ხილის მიღებას, რადგან ხილს ფრიად სასარგებლო გავლენა აქვს ნაწლევებზე და კუჭზე, ოღონდ ეს კია, რომ ყოველ გვარი ხილი უნდა ჩაიყაროს რამდენიმე წუთით წყალში, როდესაც იგი დუღს.

როგორც დაკვირვებიდგან სჩანს, შეიძლება ასში ხუთი—ექვსი გახდეს ხოლერით ავად, მხოლოდ ხუთი—ექვსი არის მოკლებული იმ ბუნებრივ დაცვის ძალას, რომლის შესახებ ზემოდ მოგახსენეთ. ასში მხოლოდ ორმოცი, ოცდათი კვდება ხოლერით და თუ კი კარგი მოვლა და პატრონობა აქვს, კიდევ უფრო მეტის გადარჩენა შეგვიძლიან სიკვდილისაგან.

როგორც ვხედავთ, არც ისე საშიში ყოფილა ხოლერა, როგორც ეს ყველას ჰგონია, საჭიროა ადამიანმა გული გაიმაგროს და არ მიეცეს სასოწარკვეთილებას, რადგან როგორც თვით რუსთველმაც სთქვა, „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო“.

ექიმი ბადრიძე.

მოწერილი ამბები

სოფ. პატარძეული (თბილ. მაზრა), ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენის სოფლის მცხოვრებლმა პავლე ეუშიტაშვილმა საშვილიშვილოდ და სასახელო საქმე შეგვძინა: იყიდა მიწა, ზომით 71 საჟენი, საკუთარის ხარჯით ააშენა ქვითკირის შენობა წიგნთ-საცავ-სამკითხველოსათვის, შეიძინა ბლომა წიგნები, სურათები და გამართულ-გაწყობილი ბიბლიოთეკა, მთავრობისგან ნებართვით გადებული, სოფელს გადასცა. რაც ჟამთავითარებამ დააკლო, კერძო პირმა შეუსრულა: როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, ბიბლიოთეკის შენობის მომიჯნავეს ნიკოლოზ იაგორის ძე ბილანოვს მიუთვისებია ბიბლიოთეკის ეზო-კარმიდამო და თავის ეზო-[illegible]. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს, და საზოგადო საქვეყნო საქმე არავის ფეხქვეშ სათელი არ გახადოს.

ბიბლიოთეკა დროებით ბეჭდებული იყო, ახლა ბ. პავლე ეუშიტაშვილმა, მღ. გულისაშვილმა და ბ. არტუშაშვილმა ხელახლა აძრეს შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე და ჟურნალ-გაზეთებიც გაუწერეს სამკითხველოს. სამკითხველოდგან ბევრი წიგნია გატანილი და დაკარგული,—საჭიროა ყველა წიგნები დაუბრუნდეს წიგნთსაცავს —ჯერ-ჯერობით მღვ. გულისაშვილს. ყოველი შეგნებული ადამიანი მოვალეა ხელი შეუწყოს ამ სასარგებლო საქმის გაუმჯობესობას.

კაი გრაკხი.

ს. მეტეხი. ტფილისის „ჭეშმარიტ რუსთა“ გაზეთში ერთი ქართველი მღვდელი სწერდა, რომ მეტეხში გლეხებსა და აზნაურებს არა აქვთ სიყვარული ეკლესიისა და სარწმუნოებისადმი. უდგლდოთ მარხავენ, მზად არიან ეკლესიები საბძლად აქციონ. ამ ჟამად არას გიტყვით, თუ რამდენად სამართლიანია „ჭეშმარიტ რუსთა“ გაზეთის ქართველ კორესპონდენტის ბრალდებანი. ბ. კორესპონდენტი მეტად გულნატკენი უნდა ყოფილიყო, რომ ამისთანა ჭორს ავრცელებდა შავრაზმელთა გაზეთში. ან კი რა უნდა ელაპარაკა ისეთ ადამიანს, რომელსაც ვერც გლეხებში და ვერც თავად-აზნაურობაში ერთი მადლიერიც არ მოეპოვება.

22 ივლისს, ს. მეტეხის ძველ ტაძრიდან მღვდელმა ბაიდოშვილმა გამოიტანა პურით სავსე ტომრები, ახალქალაქს წისქვილში გასაგზავნად. მეტეხის ძველი ტაძარი მ. ბაიდაშვილს ბეღლად გადააქცია. დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ ბაიდოშვილი და „ჭეშმარიტ რუსთა“ გაზეთის მღვდელი კორესპონდენტი ერთი და იგივე პირია. თუ მართალია, მაშინ აშკარაა რა ზნეობრივ სისპეტაკის მატარებელი უნდა იყოს იგი მღვდელი, რომელიც სხვას ურწმუნოებას სწამებს, ეკლესიას საბძლად აქცევენო, როდესაც თვითონ ამავე ეკლესიის ბეღლად დანიშნულებას აძლევს.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ხარბინი. 20 ივლისს ქ. ხარბინში გაიმართა წარმოდგენა ქართულ, რუსულს და პოლონურ ენებზე. ქართულ ენაზედ წარმოადგინეს „ჭკუისა მჭირს“. ეს მოკლე და პატარა პიესა ამოირჩიეს აქაურმა სცენის მოყვარეებმა იმისთვის, რომ რუსულ და პოლონურ დიდ პიესების შემდეგ დრო აღარ რჩებოდა ერთ მოქმედებიანზე მეტი პიესა დაედგათ ქართულად.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი პირნი: დათიკოს როლს ასრულებდა ბ. ზ. სარალიძე, რომელმაც მაყურებელთა ყურადღება დაიმსახურა. მართლაც ბ. სარალიძე მეტად მოხდენილად თამაშობდა და ყველაზე დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა. ტასოს როლი კარგად შეასრულა ქ-მა ანნა ბედოიძისამ; ბ. ა. სარალიძე მშვენიერი იყო გრიქულის როლში. კარგად გამოვიდა ბუდღანას როლში ბ ბედოიძე და ბოქეულის როლში ბ. გიორგაძე. ხალხი საკმარისად დაესწრო. უნდა განახათ, რა აღტაცებაში მოვიდა აქაური ქართველობა, როდესაც ფარდა აიხადა და პირველად ქ. ხარბინში თვალ-წინ გადაეშალათ საქართველოს სოფლების სურათი.

ვუსურვებთ წარმატებას ამ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთათვის. მეტი მუყაითობა გამოიჩინოთ იმ დიდებულ საქმეში, როგორიც არის სცენის სამსახური. იმედია ხარბინის ქართველობა დაეხმარება სცენის მოყვარეთა

ნებით შენი ეკკლესიაში, გიყვარდეს მრევლი, დაიცევ თავი ყოვლისაგან ბოროტისა: შენ შენის ნაკურთხის მარჯვენით უნდა გადასცე მადლი ღვთისა მრევლს და მარჯვენა იგი არ უნდა იყოს უწმიდურ.

იაკობი აკურთხეს მამის ადგილას. მაშინ ადვილი იყო ეს. შკოლაში გამოვლილი და სწავლა დამთავრებული მღვდელი იშვიათი იყო მაშინ, სოფელსაც არა კადრულობდნენ ამისთანები. სწავლა დაუმთავრებელთა შორის კი იაკობი უპირველესი იყო, რადგან მონასტერში ზედმიწევნით შეესწავლა სამღთოწერილი, ხოლო მამის თავის ხანგრძლივ სამსახურის დროს ყოველივე საეკკლესიო წესი თუ ჩვეულება.

3

ადრიდგანვე ჰქონდა შთაგონებული იაკობს, რომ რაკი მღვდლობა დაისახა ცხოვრების მიზნად, თავი წმიდად უნდა შეენახნა და ღირსეულად. გულწრფელად სწამდა მას, რომ უნდა შექმნილიყო ჭური მადლისა ღვთისა და ქნარი ტკბილხმოვანი სულისა წმიდისა, როგორ შეეფერებოდა მიწიერს ეს მაღალი დანიშნულება?!

გრძნობდა კიდეც იაკობი, რომ განგება მას ამ მძიმე მოვალეობისათვის ამზადებდა, რომ შემოქმედს მისთვის იგი წმიდა სამსახურთ დაესახა ამ ქვეყნად. მაშ რის მომასწავებელი იყო ის, რომ იაკობს ხშირად ესმოდა ჯერ ისევ მონასტერში ხმა იდუმალი, ძახილი რამ საიდუმლო, რომელიც მიუწოდებდა მას კეთილმოქმედებისადმი? ან რასა ჰნიშნავდა იგი წინასწარმეტყველური სიზმრები, რომლებიც ამცნებდნენ მას მომავალს და ცხადდებოდნენ ისეთის სისრულით, როგორც სიზმრები მამათმთავრის იოსებისა? ან რას მოასწავებდნენ იგი საოცარი სანახავები, რომლებიც ეჩვენებოდნენ მას ჰაერში თუ მიწაზე, სახენი ნათელნი, გამჭვირვალენი? მაკურთხეველი მარჯვენა ღვთისა საცნაურ იქმნებოდა მასში. მისი მამობილი და მასწავლებელი მოწიწებით მოისმენდა ხოლმე ამგვარ შემთხვევებს და პირჯვარს გადაისახავდა სასოებით.

— ჭეშმარიტად მადლმან სულისა წმიდისამან გამოგირჩია, შვილო! იგი განგამზადებს მსახურებად ეკკლესიისა: ეგ ხმები თუ ჩვენებანი იმის მომასწავებელნი არიან. ძველადაც მომხდარა მაგისთანა შემთხვევები, ეტყოდა მოძღვარი და მოუთხრობდა ისტორიიდან ამისთანა შემთხვევებს.

— მეცა მქონდა ოდესმე მაგვარი ჩვენებები, მეც მომესმოდა საიდუმლო ხმები, გარნა შეიმღვრა ჩემში სახე ღვთისა და განშორდა სული მეცნიერი! დაუმატებდა გულნატკენად.

იაკობი გულმოდგინედ ისმენდა საღვთო მოთხრობებს და დაკვირვებით ადევნებდა თვალს მსგავს შემთხვევებს ცხოვრებაში. მისი გონება მიზიდული იყო უნივთო არსებათა და მოვლენათადმი, მისი გამახვილებული გრძნობა მიდრეკილი იყო ზეციურ საგნებისაკენ. მადლი უფლისა გარდმოსულიყო ჭაბუკზე, სული ღვთისა იქცეოდა რჩეულსა ზედა და დაუცხრომელად იზიდავდა თავისკენ მის სურვილებს თუ მისწრაფებებს. ხშირად განიცდიდა იაკობი მომავალს ან იგრძნობდა მას ბუნდოვნად: სული მეცნიერი ახლდა მას და შეაგონებდა ყოველსავე.

— ვაჰ, რომ ქვეყნიურ ხმებით დახშული ყური გარკვევით ვერ ისმენს იდუმალ ხმათა ბგერას, ამაო სურათებით დაბინდული თვალი ვერა ხედავს ეთეროვან ჩვენებებს სხივოსნებს, მიწიერ გრძნობათაგან დატყვევებული გული ვერ მოსწვდება საგრძნობელს სათუთს და ნაზს, ქვეყნიურ ზრუნვათაგან ტყვექმნილი სურვილი ამაობისაკენ მისდრეკს ადამიანის მოქმედ ნებას, ნივთიერი ქმნილება ამძიმებს ჰაზრს, ფრთას აკვეცავს მას და უშრეტს ძალას აღმაფრენისას!....

შემდეგმა ცხოვრებამაც ვერ ჩაწყვიტა ის უხილავი სიმები, რომლებიც აკავშირებდნენ იაკობს ზეცასთან, აქაც მოესმოდა ხოლმე მას ხმა იდუმალი, აქაც ევლინებოდა ჩვენება მიუწთომელი და ხან ისე ნათლად, ისე ძლიერად, რომ ედარებოდა მის ბედისწერას. ესეთი ნათელი იყო ჩვენება იაკობისა მის ქორწინების წინადღეებში.

მღვდლობა რომ ითხოვა იაკობმა, ქალაქს დაიბარეს გამოსაცდელად. მოეწონათ სამღვდელოდ განმზადებული ვაჟკაცი. ქართველ არქიელს კიდეც შეექო მისი კითხვა და გალობის კილო. მისცეს შესაფერი ქაღალდი და გამოისტუმრეს, რომ მოეძებნა თანამგზავრი ცხოვრებისა, შეუღლებულიყო წესისაებრ ეკკლესიისა და ისე წამდგარიყო საკურთხევლად. ამოვიდა სოფლად და დაიწყო სასძლოდ განმზადებულ ქალების თვალიერება. მიაგდო ხმა აქათ-იქით, შესძრა ნათესავები თუ უცხო მაჭანკლები. ბევრმა შეაძლია ქალი. ან კი რომელი ოჯახი დაუჭერდა ქალს გლეხ-კაცში თუ სოფლის სამღვდელოებაში იმისთანა ღვთისნიერ გამრჯელ და სახიერ ვაჟკაცს და მერმე როდესაც ხელთ ექირა მღვდლობის ნებართვის ქაღალდი?! მაგრამ ვერავინ აირჩია იაკობმა: ქალი არ მისწევდა არავისკენ, თვალს ბევრი მოსწონდა, გონებაც ბევრს ადასტურებდა საპატარძლოდ, ვნებათა ღელვაც ბევრ ჩაკვირვებულ გოგონასაკენ იზიდამდა სიცოცხლით სავსე სასიძოს, გულისთქმას უღვიძებდა შეუმართებელი, მაგრამ ბუნდოვანი რამ გრძნობა უარმყოფი უკუაყენებდა მას, ნებას არ აძლევდა გადაჭრილი სიტყვა ეთქვა, გაბედული ნაბიჯი წაედგა. დრო კი მიიწურა, სულ ორიოდე კვირაღა დარჩა პაემნამდინ. მხურვალედ ლოცულობდა იაკობი, რომ უფალს შთაეგონებინა მისთვის განზრახვა კეთილი და ფიქრი სწორე.

— უფალო, ღმერთო მამათა ჩვენთაო! გზასა მსახურებისა შენისას ვსდგევარ, წარმართე სვლა ჩემი; წყალობა შენი თანამავალ მეყავნ მე? მომეც თანაშემწე, ვითარცა ადამს; გამოაჩინე სასწაული შენი და მიჩვენე თანამგზავრი ცხოვრებისა ჩემისა; მომივლინე ანგელოსი მახარებელი ნებისა შენისა, ვითარცა წარუვლინე ანგელოსი ელიაზარს მიმავალსა ძებნად სასძლოსი!

ლოცულობდა იაკობი და დარწმუნებული იყო, რომ ამგვარ ძნელ შემთხვევაში ხმა იდუმალი უწინამძღვრებდა მას და ამცნებდა ხილვა რამ საიდუმლო. მაგრამ ვერ ეღირსა იაკობი ვერავითარ შთაგონებას, თითქო დაშორებოდა მას სული მეცნიერი და პირი შეექცია მისთვის. ლოცულობდა იაკობი, რომ უფალს ჩაეგონებინა მისთვის განზრახვა კეთილი, მაგრამ თითონვე გრძნობდა, რომ ლოცვა მისი არ იყო სპეტაკი და აღმაფრენი; იგი მძიმე იყო, წითელი, სუნი რამ ასდიოდა ხორცეულისა: ეშხით აყვავებული საპატარძლოები ვედრების დროსაც არ ეშვებოდნენ მის გონების თვალს და ქვეყნიურ გრძნობებით და სურათებით ამძიმებდნენ ლოცვად მდგომის აღმაფრენას.

ფიქრებით წაღებული, დაქანცული ვაჟკაცი მიწვა დერეფანში და გაჰყურებდა ლაჟვარდ ცას, ჩამავალი მზის სხივებით გაელვარებულს. უეცრად შემოესმა ფეხის ხმა და შრიალი. წამოჯდა, გაიხედა. მისკენ მიდიოდა ქალწული ნორჩი. შავგვრემანი იყო, მაგრამ სახეს უმშვენებდა დაღონებული თვალები. ჩალის ფერი კაბა ეცვა, თავსაკრავზე ზამბახი ჰქონდა ამოქარგული, მაჯაზე ქარვის კრიალოსანი ეხვია. იაკობმა ყველაფერი ეს კარგად შენიშნა. ქალი შესდგა და ხვეწნით მიაპყრო თვალები ვაჟკაცს. იაკობი წამოხტა შესაგებებლად, მაგრამ ქალმა მორცხვად დახარა თავი, დაიწია უკან და მიეფარა. ვაჟკაცი გაჰყვა თან, მაგრამ ვეღარავინ ნახა. განცვიფრებულმა მიიარ—მოიარა ეზო, გადიხედა ბაღჩაში, დაათვალიერა ოთახები, მაგრამ ვერავინ ვერ იპოვა. ჰკითხა თავისებს თუ მეზობლებს, მაგრამ ამაოდ. ალბად ჩაგეძინა და მოგეჩვენაო, უთხრეს.

— სწორედ გეზმანებია! აქაურ ქალებს ხომ ყველას იცნობ, უცხო სტუმარი კი არავინ არის ეხლა სოფელში, უთხრა იაკობს მისმა დამ.

იაკობმა დაიჯერა, რომ სიზმარი იყო უბრალო და დამშვიდდა. რამდენიმე დღის შემდეგ ხატობაში მოუხდა წასვლა შორს და მის განცვიფრებას სამზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ხატის კარს სწორედ ის ქალი შეხვდა, რომელიც ეჩვენა მას და სწორედ ისე ჩაცმულ-დახურული. შეძლებული გლეხის ოჯახიდან აღმოჩნდა ქალი. დაინიშნა. ყისმათს სად წაუვიდოდა?!.

— დაგინახე თუ არა, ქალო, მაშინვე გიცანი! მივხვდი, რომ ჩემი უნდა გამხდარიყავი, ეუბნებოდა დანიშნულს ვაჟკაცი და უამბობდა, როგორ ეჩვენა ქალი მას.

— აბა შენ საიდან გეცნობებოდი?! მე კი გიცნობდი, მიუგო ქალმა.

— რას ამბობ, ქალო, შენ საიდანღა მიცნობდი?!

— შარშან გნახე ამავე დღეობაში და მაშინვე გული ჩამწყდა. უშენოდ გაძლება აღარ შემეძლო, შენი გაცნობა კი ვერ შეიძლებოდა. ვერავის გავენდე, დედასაც კი ვერ ვანდე ჩემი საიდუმლო. სულ ვტიროდი და ვლოცულობდი. როცა მითხრეს, მღვდლად უნდა ეკურთხოსო და ქალს ეძებსო, გული შემეხუთა, მომიკვდა. შენი სახე აღარა მშორდებოდა, ფიქრით სულ შენთან ვიყავი, უთხრა ქალმა და ვაჟკაცის უბეში ჩამალა დარცხვენილი თავი.

კარგი ქორწილი გადიხადეს. ქალი არა ბრწყინავდა სიმშვენიერით, ვერა ჰგავდა იგი რახილს, თვალთწარმტაცს, მაგრამ მეუღლე გამოდგა ნაკურთხი და დალოცვილი.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

ჯგუფს და მით ხელს შეუწყობს ხარბინში ქართულ წარმოდგენების საქმის მოგვარებას. თუ ეს სცენის მოყვარენი წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ ქართულ წარმოდგენების საქმე კარად წავა. ამის თავმდებია 20 ივლისის წარმოდგენა.

წარმოდგენის შემოსავლიდგან 25$^0/_0$ ერგოთ ქართველებს, რომელიც გადასცეს ქ. ხარბინის სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს.

—

ტფილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, როგორც გადმოგვცეს, მოუწვევია ჩვენი ისტორიკოსნი, მხატვრები და უჩვენებია „სამშობლო“-ს ახალი დეკორაციები. გამგეობას სურდა გაეგო, რამდენად შეეფერება ახალი დეკორაციები ისტორიულ სინამდვილეს. მცოდნე პირთ მოუწონიათ დეკორაციები. გამგეობას აზრათა აქვს სეზონი „სამშობლოთი“ გახსნას. სეზონი გაიხსნება 11 ოქტომბერს, იმ დღეს, რა დღესაც შესრულდება 25 წელიწადი „სამშობლოს“ ავტორის, დავ. ერისთავის გარდაცვალების შემდეგ.

როლები სულ ახლად იქნება განაწილებული.

უცხოეთი

პოლონელების ბრძოლა თავიანთ ადგილ-მამულის შესანახად.

პრუსიის მთავრობამ ადგილობრივ პარლამენტს დაამტკიცებინა კანონი, რომლის წყალობითაც შეიძლება პოლონელებთაგან მიწის ძალით ჩამორთმევა, რათა ამ მიწაზე გერმანელები დაასახლონ. ძალით შეუძლიანთ მხოლოდ **62.000** დესეტინა მიწის ჩამორთმევა. რაკი ეს კანონი დაამტკიცებინა, მთავრობამ თითქმის მოისვენა და პოლონელების დევნა ცოტა არ იყოს შესუსტა; სახელმწიფო ქონებათა მინისტრს სხვათაშორის, აბარია მიწების ჩამორთმევა და ზედ გერმანელების დასახლება; ეხლა დაუნიშნავთ ახალი მინისტრი ფონშორლემმერი, რომელიც ამ კანონის განახლებას აპირობს; მთავრობის და ნაციონალისტების გაზეთებით თხოულობენ, რომ დაუყოვნებლივ შეუდგენ ამ კანონის განხორციელებას, მხოლოდ მათ გამოიყენეს სოფ. ბერნგადტის წიგნი: „პოლონელთა თემი პრუსიის სახელმწიფოში“. ამ თვის შრომაში ახალგაზრდა პროფესორი მოგვითხრობს, რომ პოლონელებმა პრუსიის სახელმწიფოში თავიანთი სახელმწიფო შექმნეს. მხნეობით სავსე მეთაურებმა: მღვდელმა ვავრჟინიაკმა, მარცინკოვსკიმ, ინკოვსკიმ თვალი აუხილეს პოლონელ ერს, აღზარდეს იგი, ერის დაქსაქსულ ძალას ერთად თავი მოუყარეს და ამ შეერთებულ ძალას საფუძვლად გული დაუდვეს. ამხანად პოლონელებს **225** ამხანაგობა აქვთ გამართული თავიან ქვეყანაში; ეს ამხანაგობანი ერთი ერთმანეთში შეერთებულნი არიან **კავშირად** რომელსაც თავისი საკუთარი ბანკი აქვს და ამ ბანკს მჭიდრო დამოკიდებულება აქვს საერთაშორისო ფინანსიურ დაწესებულებებთან. მთელი წყება საგლეხო და საადგილმამულო ამხანაგობათა ებრძვის პრუსიის მთავრობას და მიწას არ ანებებს; მთელი ერი იღებს მონაწილეობას ამ განწირულ ბრძოლაში: ვაჭარი, მრეწველი, მემამულე ყველა შეერთებულ-შეკავშირებული.

ამ ორგანიზაციებს სათავეში უდგანან მღვდლები (**213** მღვდელი ხელმძღვანელობას **157** ამხანაგობას),

პოლონელ ერის ამ თავ-განწირულ ბრძოლით შეშინებული გერმანელი კონსერვატორები ითხოვენ დაუყოვნებლივ იქნას განხორციელებული კანონი შესახებ მიწის ძალით ჩამორთმევის, რადგან დაგვიანება გვიქადის ცუდს მომავალსაო: რაც თავისუფალი მიწებია სულ პოლონელები ჩაიგდებენ ხელშიო და პოლონელების გადაგვარებას ველარ შევძლებთო; ამის გარდა კიდევ თხოულობენ, რომ **62** ათასი დესეტინა არა კმარა, საჭიროა **270** ათასი დესეტინა; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მკვიდრად ფეხი მოიკიდოს გერმანელმა გლეხმა პრუსიის პოლონეთში და პოლონელების გაგერმანელებაც ადვილი იქნებაო.

რუსეთი

◆ **ებრაელების ძროხების დევნა.** როგორც მოგეხსენებათ, რუსეთში ებრაელებს ძალიან ავიწროვებენ; სხვათა შორის სახალხო მინისტრის შვარცის განკარგულებით სასწავლებელში მიიღებიან ურიები მხოლოდ 10$^0/_0$ ქრისტიან მოსწავლეთა რიცხვისა. ბ. შვარცის სასახელო მოღვაწეობა შეშურებია ქალაქ ხორულის (პოლტავის გუბ.) მოურავს და აი რა მოუქმედნია: ქალაქის გარე მშვიდად იცოხნებოდნენ ძროხები ქრისტიანებისა და ებრაელებისა; იცოხნებოდნენ და რასაკვირველია ერთმანეთში არავითარი შუღლი და მტრობა არ არსებობდა, არც თუ სჩაგრავდნენ ერთმანეთს, მაგრამ დახე ბედსა! უცბად ბრძანება გამოვიდა: „ქალაქის ნახირში ებრაელთა ძროხები არ უნდა აღემატებოდნენ ქრისტიანების ძროხების რაოდენობას 10$^0/_0$-საო;“ რაც ებრაელთა ზედმეტი ძროხა აღმოჩნდა, ნახირიდან გააძევეს! დარჩნენ ებრაელთა საცოდავი ძროხები ნახირს გარედ!

◆ **გადასახადი შემოსავლის კვალობაზე.** ფინანსთა მინისტრმა წინადადება შეიტანა მინისტრთა საბჭოში, რომ რაც შეიძლება მალე განიხილონ კანონპროექტი შესახებ შემოსავლის კვალობაზე გარდასახადის დაწესებისა. ამ კანონის წყალობით სახელმწიფოს ყოველწლივ შეემატება 25—40 მილიონ—მანეთი. მინისტრთა საბჭო განიხილავს ამ წინადადებას პირველსავე მორიგ ერობაზე.

◆ **მიწების გამოსყიდვა.** მართლმადიდებელ სამღვდელოების ერთს ჯგუფს ხოლმის სამმართველოსათვის წინადადება მიუცია, დაარსონ საადგილ-მამულო თანხა, ორი მილიონ მანეთით. და ხოლმში პოლონელებთაგან მიწა გამოისყიდონ, რათა მათზე როგორი გლეხები ჩაასახლონ. (რ)

◆ **კნობელს დორფის საქმე.** ეს მოხდა ხუთი წლის წინად 1905 წელს, მინსკის გუბერნიაში და მაზრის დაბა [illegible]. ადგილობრივი პოლონელი მემამულე 70 წლის მოხუცი ადამ კნობელს დორფი თავის სტუმრებითურთ ბამბორსკით, ჟულკოვსკი ძმათა ურბანჩიკები და კიდევ ორი მსახურით სანადიროდ წავიდნენ. ზოგი ამ მონადირეთაგან გამოეკიდა მელას; მელა შევარდა ტყის პირას ან დანგრეულს და ყველასაგან მიტოვებულს წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ქვეშ, თავის სოროში ძაღლიც თან შეჰყვა. ეს ეკლესია ძველის ძველია, სახურავი ადგილ ადგილ არა აქვს, რისა გამო წვიმა და თოვლი ჩადის ეკლესიაში და ხის იატაკიც აქა იქ დამპალა. როცა მელა შევარდა თავის სოროში, ეკლესიის იატაკის ქვეშ, მონადირენი შევიდნენ ეკლესიაში და ერთ-ერთი ფიცარი ასწიეს; ამ დროს ამოვარდა სოროდან ძაღლი და მას ამოჰყვა მელა. გატაცებული მონადირეთ გულმა ველარ მოუთმინათ და იქვე თოფები დაახალეს; ხოლო თითონ კნობელსდორფი კურდღელს გამოჰკიდებოდა და ეკლესიაში რომ ეს ამბავი ხდებოდა, თითონ ამდროს რამდენიმე ვერსის სიშორეზე იყო. ასე მოგვითხრობენ ამ ამბავს მონადირენი.

სულ სხვანაირად დაატრიალეს ეს ამბავი ადგილობრივმა რუსებმა მათის სიტყვით აქ წინდაწინვე ჰქონდათ განძრახული მონადირეთ ეკლესიის შეგინება და ამ ამბის მეთაური და სულის ჩამდგმელი იყო მოხუცი კნობელსდორფი. საქმე სისწრაფით გამოიძიეს ადგილობრივ ურიადნიკმა და ბოქაულმა, მერე მაზრის უფროსმა; მაგრამ მონადირეთა გასამტყუნებელი ვერაფერი აღმოაჩინეს რა. ამ ამბავში გაერია რუსების ადგილობრივი წარმომადგენელი იაკობივიჩი. საქმე სასამართლოში გადაიტანეს და... წარმოიდგინეთ 5 წლის შემდეგ, წრეულს პასუხის გებაში მისცეს მონადირეები. სასამართლომ გადაუწყვიტა მათ მოხუც კნობელს დორფს 8 წლის კატორღა, დანარჩენებს 15—4 წლამდე; მონადირეებმა განასაჩივრეს მინსკის სასამართლოს ეს დადგენილება, მაგრამ სენატმა არ შეიწყნარა მათ მიერ წარმოდგენილი საბუთები სასამართლოს უწესო წარმოებისა და დაამტკიცა სასამართლოს დადგენილება. (რ)

◆ **ცოტა რამ სტატისტიკიდან.** 1 მკათათვიდან 31 მკათათვემდე, გაზეთების ცნობით, სამხედრო საოლქო სასამართლოებმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 9; ტიმსკში 2, ტფილისში 2, ნიკოლსკ-ურუსისკში—2, კრასნიარში 1, კავკავში და ვლადივოსტოკშიც 1; ამავე ხნის განმავლობაში სიკვდილით დასაჯეს 4; მოსკოვში 2, ირკუტსკში 1 და ჩერნიგოვში 1; სულ ამ წლის 7 თვის განმავლობაში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 303 კაცს, დასაჯეს 114; ადმინისტრატიულის წესით რედაქტორებს 18 ჯარიმა დაადეს სულ 4400 მანეთისა; ეს ერთი თვის განმავლობაში; ხოლო 7 თვის განმავლობაში რედაქტორებს დაადეს 106 ჯარიმა სულ 32.100 მანეთისა.

წარსულ ერთის თვის განმავლობაში ლიუბლინის გუბ. დახურეს პოლონელთა ექვსი განმანათლებელი საზოგადოება; პეტერბურგში დახურეს ნარვის რაიონის განმანათლებელი საზოგადოება, კიევში—სოფლის მეურნეობაში მოსამსახურეთა საზოგადოება, რომელსაც ჰქონდა 8 განყოფილება და 3900 წევრზე მეტი; იქავე დახურეს საფასო სამკითხველო. მოსკოვში დახურეს მბეჭდავთა საზოგადოება ივანე ფედოროვის სახელობისა, ვარშავაში პოლონელ ექიმთა საზოგადოება. კიშინევში ფურნეებში მსახურ მუშების საზოგადოება, აკერმანში ნოქართა საზოგადოება.

სულ **7** თვის განმავლობაში ადმინისტრატიულის წესით დახურულია **120** მეტი პროფესიონალური კავშირი და განმანათლებელი საზოგადოება.

◆ **უნივერსიტეტში ჩარიცხვის ახალი წესები.** სახალხო განათლების სამინისტროს აზრათა აქვს გამოსცეს ახალი წესები უნივერსიტეტში მსურველთა ჩარიცხვისა. თანახმად ამ წესებისა უმაღლეს სასწავლებელთა კურს დამთავრებულნი მიიღებიან უნივერსიტეტში მხოლოდ საშუალო სასწავლებლის ატესტატების მიხედვით, და არა დიპლომებით, როგორც ეს ეხლა ხდება; ამას გარდა თუ საჭიროებამ მოითხოვა დამატებითი ეგზამენები უნდა ჩააბაროს; უმაღლეს სასწავლებელთა კურს-დამთავრებულნი, რომელთაც დაახანეს ჯარში სამსახური სწავლის დამთავრებამდე, უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან მხოლოდ მის შემდეგ, როცა სამხედრო სამსახურს მოიხდიან ან განთავისუფლდებიან.

სასულიერო წოდების პირნი (მღვდელ-დიაკვანნი) არ ჩაირიცხებიან სტუდენტებად.

თხოვნას ჩვეულებრივ ქაღალდებს პირებითურთ (**копіями**) უნდა დაერთოს პოლიტიკურ კეთილ-საიმედობის მოწმობა, ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან; ეს მოწმობა არა საჭიროა მხოლოდ მათ, ვინც სწავლა დაათავა თხოვნის მიღების წელს. ექსტერნებმა უნდა წარმოადგინონ პოლიტიკურ კეთილ-საიმედობის მოწმობა. ვინც სამზღვარ-გარედ იცხოვრა და მერე სწავლა მოისურვა, უნდა წარმოადგინოს პოლიციის დეპარტამენტის მოწმობა. სხვა სამოსწავლო ოლქის გიმნაზიების აბიტურიენტში უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან თუ თავისუფალი ადგილი დარჩა ამ სამოსწავლო და მის მეზობელ ოლქების გიმნაზიების აბიტურიენტთა ჩარიცხვის შემდეგ. გიმნაზია დასრულებული უპირატესობა ეძლევათ წინაშე რეალურ სასწავლებლისას და ამათ წინაშე სემინარიელებისა და ამათ შემდეგ კი სხვა სამოსწავლო დაწესებულებათა. ებრაელთათვის პროცენტობრივ—ნორმა ისევ იქნება და უცვლელად რჩება. თავისუფალ მსმენელთ მიიღებენ, თუ დარჩა თავისუფალი ვაკანსია ყველა სტუდენტების მთხოვნელთა ჩარიცხვის შემდეგ. აქნობამდე ხშირად იცოდნენ „პირობით ჩარიცხვა“, ე. ი. მსურველი ირიცხებოდა თავისუფალ მსმენელად, და როცა ჩააბარებდა ამა თუ იმ დამატებითი ეგზამენს, სტუდენტად ჩაირიცხებოდა ხოლმე; შემდეგში ეს აღარ იქნება. ქალებს თავისუფალ მსმენელებად აღარ მიიღებენ.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ამ ათი წლის წინად განსვენებულმა ილია ჭავჭავაძემ გამოიყვანა წყარო სოფ. წიწამურას გვერდით. შარა გზაზედ.

როგორ იქნებოდა, რომ გამვლელ გამომვლელს არ გაეგრილებინა გახურებული გული ამ მშვენიერი და ანკარა წყაროთი? ილია თუ წელიწადში ორჯელ და სამჯერ ესიამოვნებდა ამ წყაროთი, საგურამოს ველის სამი სამამასახლისო საზოგადოება, მუდამ დღე სარგებლობდა იმით. ურმებს შეაყენებდნენ, საქონელს შეაქაქანებდნენ და თითონ ცივ წყალს შეექცეოდნენ. დიდ ხანს ვერ გაუძლო ამ წყარომ ბოროტ და ავ ხელს.

ჯერ ისევ ილიას სიცოცხლეში ჩამოგლიჯეს ფინჯანი და წაიწეს; შემდეგ ჯაჭვი, მილი და ბოლოს აგური შემოაცალეს წყაროს. ხმის გამცემი არავინ გამოჩნდა, ისე წყაროს ნაცვლად მგზავრი ჰხვდავს ეხლა ამღვრეულ და დამყაყებულ გუბეს, სადაც ძაღლი და ღორი თავისუფლად დანავარდობს.

ასეთივე დღე დაადგა განსვენებულის ჯვარს, რომელიც გარდაცვალების ალაგას დაადგეს წინამძღვრიანთ კარის სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. თითო-თითო აგური შემოაცალეს ჯვარს და იმედია ახლა ჯვარზედ მიდგება ჯერი.

იმ დროს, როდესაც სხვაგან ძეგლებს თაყვანსა სცემენ, სისუფთავით ინახავენ და წყაროებისათვის უკანასკნელ გროშს არა ჰზოგავენ, საგურამოელები, ყველა ამას, ფეხით სთელენ.

ეს შეუგნებლობა თუ ხალხს, უგუნურ ხალხს, ეპატიება, განა ეპატიება „ინტელიგენციას“!?

რას აკეთებენ: მასწავლებლები, მღვდლები, მამასახლისები, აზნაურები!?

მარტო ანბანი, მონათვლა და დამარხვა შეადგენს მათ მოვალეობას რამდენი შემთხვევა ეძლევა მღვდელს, რომ უთხრას და ჩააგონოს უსწავლელ გლეხს, რომ ძეგლის განადგურება, მისი ხელის შეხება, წყალის აოხრება და წაბილწვა ცუდი საქმეა, ველურობაა...

იქნება უთხრეს და ხალხმა მაინც არ გაუგონა მათ!? უფრო სამწუხარო.

კაკიანთხეველი.

სპორტი

კავკასიური-ჭიდაობა. კვირას 8 აგვისტოს დიდუბეში რამდენიმე ფალავანმა იჭიდავა. კულა გლდანელმა 3 წუთის განმავლობაში მარცხენა სარმით წააქცია გამოჩენილი რუსი მოჭიდავე ყაზახი რაზინი. (გლდანელმა გასულ კვირას აგრეთვე წააქცია პეტერსონი, ვარშავის ჩემპიონი) პეტერსონმა მეორედ გამოიწვია კულა გლდანელი და 100 მანეთსა სდებს, თუ კიდევ დამარცხდება. კარგად იჭიდავეს თედომ (წააქცია გეცაძე) და შაშუა ვერელმა (წააქცია გორელი დოთიაშვილი). კაკაშვილმა წააქცია კრუა. საჭიდაო ფარდული სავსე იყო ხალხით. უადგილობის გამო გარეთაც დიდძალი ხალხი იდგა.

—

ფრანგული-ჭიდაობა. 8 აგვისტოს საზაფხულო თეატრში იჭიდავეს წითელმა ნიღაბმა და იანუშ-ნაჯიმ ორივე გამოჩენილმა ფალავანმა ყველამ ხერხი იხმარა, წითელი ნიღაბი მეტს სიმკვირცხლესა და ღონეს იჩენდა. ჭიდაობა ამ ორ ფალავანთა არაფრით გათავდა. ვერც ერთმა ვერ წააქცია. შემდეგ იჭიდავეს ვანროტენმა და შავმა ნიღაბმა 13 წუთში შავმა ნიღაბმა ორივე ბეჭზე დასცა ვანროტენი. მიხეილ მაიერმა და პეტერსონმა დიდხანს იჭიდავეს. ორივენი აკრძალულ ხერხსაც მიმართეს. ვერც ერთმა ვერ წააქცია. შემდეგისთვის დაინიშნა ამ ორ ფალავანთა გადამწყვეტი ჭიდაობა. ამავე საღამოს იჭიდავა რაზინმა და ლიტვინმა. ორივე ფალავანს ჯოხზე ეკიდა ხელი. ისხდნენ ძირს და ფეხები ფეხებს ჰქონდათ მიბჯენილი. თავ-თავიანთ მხარეზე იწვევდნენ. მკლავები დაექიმათ. ბოლოს რაზინმა გადიტანა ლიტვინოვი. ჭიდაობა გვიან გათავდა.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს, დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—157

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. ავახაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მატარებლების მიმოსვლა
18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან: N 1, სწრფ—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

სამს მანეთს იძლევიან

„ვისრამიანში“, ოღონდ სრული და სუფთა წიგნი იყოს. ვისაც აქვს გასაყიდი, წარმოადგინოს „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. (3—2)

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶
მოსავალი
წელიწადი მეორე
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლი
თვის. ჟურნალი გამოვა იმავე პრ
გრამით. რედაქცია ჰპირდება თა
ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცე
რეებ ს **საუკეთესო თესლის** გ
ზავნას **უ ფ ა ს ო დ.**
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნ
ლის ხელის მომწერლებს წლის დ
ლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასო**
თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნე
ბის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: **Тифлисъ, Бар
тинская 5. Редакція „Мосавали**

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი
◀ **ლევან**
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედა-
ქციისა და კ. მესხიევის
ფასი ორი აბაზი
იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერ
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგ
შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებ
საზ. წიგნის მაღაზიას.
ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности ср
ди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—31)

ТРЕБУЙТЕ ЧАСОВЪ
ИСКЛЮЧИ-ТЕЛЬНО
ИЗЪ ПАРИЖА

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ
სწორე და მკვიდრი საათები
**ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარ
საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პა
რიზის ახალი რამ.**
ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევ
შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი სახურავით «ს ე
ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქრო
საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14$^0/_0$ ოქრ
აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილ
შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ს
აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უჩასალებოდ. ს
ათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვ
ხებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით
სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს
საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთა
და გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზ
ვნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

ПАРИЖЪ 7 S. Strumfeld
PARIS 7 Rue Mirbel 2 bis.

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშ
ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრა
10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსწეროთ და მაგრად დააკრა
კონვერტზე ან ღია ბარათზე. (50—10)

Приймається передплата на друге півріччя
1910 року
НА УКРАІНСЬКУ
ПОЛІТИЧНУ, ЕКОНОМИЧНУ і ЛІТЕРАТУРНУ ГАЗЕТУ
„Р А Д А“
напрямок газети нЕпартійний
демократично-поступовий

Особливу увагу Р А Д А звертає на місцеве життя провінції.

„**Р А Д А**“ має власних кореспондентів в Державній Думі, в Державній Раді, а також в політичних центрах Європи, у Львові, в Чернівцях і в усіх визначн. містах України по сей і по той бік кордону.

ПЕРЕДПЛАТНИКИ, що підписалися на газету на цілий рік и виплатили відразу або виплатят по частках цісорічну передплату (6 руб.), одержать Б Е З П Л А Т Н О „українсько-російський словник В. Дубровського під редакц. Ів, Степенка. вид. „Час“ 1909 р., ц. 75 к. і брошюру Імператорськоі Академіі наук: **Объ Отмѣнѣ стѣсненій Малорусскаго печатн. слова**“., а тако-ж ЗА ДОПЛАТУ 6 рублів можуть одержати Словник Украінськоі мови, зібраний Редакцією журнала „Кіевская Старина“, виданий у Києві в 1909 році під редакцією і з доповненнями Б. Грінченка, в 4-х великих томах, що продається по книгарнях за 8 руб. без пересилки (словник одержав від Рос. Акад. Наук премію ім. Костомарова).

Ціна „Р А Д І“ з приставкою і пересилкою въ Росії

на	на	на	на	на	на	на	на	на	на	на	на
рік	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2 м.	1 м.
6 руб.	5.70	5.25	4.75	4.25	3.75	3.25	2.75	2.25	1.75	1.25	65

Передплата на ½ року 3 карб. 25 коп.

Ціна „Раді“ за кордон:

на рік 11 руб., (27 крон 94 гелери на австрійську валюту), на ½ року—5 р. 50 к., на ¼ року—2 р. 75 к., на 1 міс—1 руб.

Коли закордонні читачі передплачують газету через почтамти, то платять за газету по ціні встановленій для передплатників в Росії.

Передплата приймається тільки з 1-го числа кожного місяця.

Зміна адреси—30 коп., артистам—безплатно.

— (При зміні адреси—ТРЕБА ПОДАВАТИ разом з новою и СТАРУ). —

ПРОБНІ ЧИСЛА ВИСИЛАЮТЬСЯ ДАРОМ.

Адреса редакції і головної контори: у Києві, Вел.-Підвальна вул., д. 6, біля Золотих Воріт. Телефон 1458.

Редактор Вал. Галевич. Видавець Є. Чикаленко.

(3—1)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სოსლოლაშვილი